

ინვესტიციები და საინვესტიციო მიზიდველობა

ტერმინი ინვესტიცია ლათინური სიტყვა და მომდინარეობს „ინვესტ“-დან და „დაბანდებას“ ნიშნავს. დღესდღეობით ინვესტიციები ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთი ხშირად გამოყენებული კატეგორიაა, როგორც მაკრო, ისე მიკრო და მეზო დონეზე. მიუხედავად ამ ეკონომიკური კატეგორიისადმი სწავლულ ეკონომისტთა განსაკუთრებული ყურადღებისა, ჯერ კიდევ არ არსებობს ინვესტიციის ისეთი უნივერსალური განმარტება, რომელიც თეორიული და პრაქტიკული მოთხოვნილებების შესატყვისი იქნებოდა.

ინვესტიციებს განმარტავენ სხვადასხვა ასპექტში, დინამიკაში, მიკრო და მაკრო დონეზე, შემოსავლიანობის დონის, დანახარჯების და რესურსების მიხედვით და ა.შ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მათგანს საბოლოო ჯამში ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

ინვესტიციები, როგორც წესი, გულისხმობენ მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს; უკუება ინვესტიციისაგან შეიძლება მიღებულ იქნას რამდენიმე წლის შემდეგ; ინვესტირებისას არსებობს რისკისა და გაურკვევლობის ელემენტები; ინვესტიციები, რომლებიც განიხილება, როგორც კაპიტალური დაბანდებები, გულისხმობენ ძირითადი კაპიტალის შეძენას, საწარმოო შესაძლებლობების გაფართოებას, ან ნებისმიერ სხვა დანარჩენს, რომლებიც მიმართულია ეფექტიანობის ზრდისაკენ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნება - „ინვესტიციები“ სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება: სამომხმარებლო ინვესტიციები; ინვესტიციები ბიზნესში (ეკონომიკური ინვესტიციები); ინვესტიციები ფასიან ქალაქებში (საფინანსო ინვესტიციები).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიციას განსაზღვრავენ როგორც პროცესს, რომლის დროსაც რესურსები თანამიმდევრულად გარდაიქმნება დანახარჯებად ინვესტორის მიზნის - შემოსავლის მიღების განსახორციელებლად. ძირითადად, ინვესტიციას უკავშირებენ მხოლოდ კაპიტალის ზრდის, ან მიმდინარე მოგების მიღების მიზნებს, მთავარი აქცენტი გამახვილებულია ეკონომიკურ მხარეზე. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში მართალია, მოგება, პირველ რიგში, განმსაზღვრელი მიზანია, მაგრამ ინვეს-

თეონა ბაქანიძე
სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი
მამლა ბაქანიძე
სტუ-ს სპეციალისტი

ტიციებს შეიძლება ჰქონდეთ კაპიტალის დაბანდების სხვა ეკონომიკური და არაეკონომიკური მიზნებიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი უშუალო გაიგივება „კაპიტალური დაბანდების“ ცნებასთან (რაც ძალიან ხშირად გვხვდება), გაუმართლებელია. კაპიტალური დაბანდებები უფრო ვიწრო ცნებაა და იგი უნდა მივიჩნიოთ, როგორც ინვესტიციების მხოლოდ ერთი ფორმა.

მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ინვესტიციებისა და ვაჭრობისაგან მიღებული შემოსავლები ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს. კაპიტალისა და ტექნოლოგიური ბაზრების განვითარების შედეგად მრავალფეროვანი გახდა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოსავლის წყაროები, როგორც ცალკეული ეკონომიკური საქმიანობის სახეობათა მიხედვით, ასევე სხვადასხვა ქვეყნების მიხედვითაც.

ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ზრდის კვალდაკვალ გაფართოვდა საწარმოთა საქმიანობის გეოგრაფიული არეალი, ამან კი თავისი გავლენა იქონია მრავალფეროვან საწარმოთა ფინანსურ შედეგებზე. მსოფლიო ეკონომიკის თვალსაზრისით კი შესაძლებელია ითქვას, რომ აღნიშნული ფაქტორები საბოლოო ჯამში ზემოქმედებენ ინვესტიციების ამა თუ იმ ქვეყანაში განთავსების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. სწორედ ეს პროცესები განაპირობებს შემდგომში ქვეყნებს შორის ეკონომიკური და არა მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებასა და შემდგომი დარეგულირების პროცესებს.

ინვესტორი – ფიზიკური ან იურიდიული პირი იძენს ფასიან ქალაქებს ანუ ის შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან ინსტიტუციონალური. ინდივიდუალურ ინვესტორად შეიძლება მოგვევლინოს ნებისმიერი კერძო პირი, ხოლო ინსტიტუციონალურად – იურიდიული პირი, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს საკუთარი ან მის მფლობელობაში მყოფი სხვა კომპანიე-

ბის სახსრების ინვეტირება. ესენია: საინვესტიციო ფონდები, საპენსიო ფონდები, სადაზღვეო კომპანიები, კომერციული ბანკები და ა.შ.

მას შემდეგ, რაც საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცენტრალიზებულ-გეგმიანი ეკონომიკური სისტემიდან გადავიდა საბაზრო ეკონომიკის სისტემაზე, საბაზრო ეკონომიკამ მოითხოვა მისთვის დამახასიათებელი ბერკეტებისა და ინსტრუმენტების შექმნა და მოქნილად გამოყენება.

ფინანსური კრიზისის პირობებში საქართველოში გამოვლინდა ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების ფორმირების აუცილებლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსური ნაკადების მიმართვას საბოლოო მსესხებლის მოთხოვნების მომსახურებაზე, თავისუფალი რესურსების ეფექტიანობის გაზრდას და მათ ჩადებას ეკონომიკურ პროექტებში. იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები არ არსებობს, რეალურია შეიქმნას პირობები სხვა ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებისათვის, კერძოდ, ფორმირდება წანამდგრები საქართველოს ფინანსურ ბაზარზე კორპორატიული ემიტენტების გამოსვლისათვის. კერძო საკუთრებაზე აგებული საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეროვნული ეკონომიკის ფინანსური რესურსებით შეუფერხებელი უზრუნველყოფა წარმოებს ფინანსური ბაზრის მეშვეობით. ფინანსური ბაზარი ეროვნულ მეურნეობაში ფულადი სახსრების მოძრაობის ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმაა და ფუნქციონირებს უმთავრესად როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახით, ისე სასესხო კაპიტალის ბაზრის სახით.

ფინანსური ბაზრის თავისებურება - სოციალური შემადგენლების არსებითობა, ანუ ქვეყნის მოქალაქეები მოითხოვენ თავიანთი დანაზოგების ინვესტირების საშუალებათა მრავალფეროვნებას და საკუთარი ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ამიტომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმართ პოლიტიკის ფორმირების დროს სახელმწიფო გამოდის არა მარტო ეკონომიკის მოთხოვნილებებიდან, ინვესტიციების მისაწვდომობიდან გამომდინარე, არამედ ორიენტირდება მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებაზეც.

თანამედროვე შერეული ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება. ინვესტირების ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ იგია ინვესტირების ამა თუ იმ საინვესტიციო პროექტით დაინტერესების საფუძველი. როდესაც ინვესტირები ღებენ ინვესტიციებს დამ-

ატებით შენობებში და აღჭურვილობებში, ისინი მოელიან შემოსავლების გაზრდას. ინვესტირების გადაწყვეტილება ეფუძნება მეწარმეთა შეფასებას, რომ რაიმე განსაზღვრული საინვესტიციო პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება მოსალოდნელი მოგება. მოგების მოსალოდნელი ზრდის განსაზღვრის დროს, მეწარმე, შეისწავლის ორ ძირითად ფაქტორს შორის დამოკიდებულებას. ასეთ ფაქტორებს წარმოადგენს, პირველი, განსაზღვრული ძირითადი კაპიტალის მოსალოდნელი წმინდა შემოსავლების ნაკადები (ამონაგები), მეორე - კაპიტალის გამოყენების დანახარჯები.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკა გადავიდა საბაზრო ეკონომიკაზე, აღნიშნული მოვლენა მნიშვნელოვან პერსპექტივებს ბადებს ინვესტიციური საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ, იქმნება ყველა პირობა ინვესტიციების მოზიდვისათვის ეკონომიკის ისეთ დარგებში, რომელთა განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და მისთვის საერთაშორისო ეკონომიკაში სათანადო ადგილის დამკვიდრებას. ამ მხრივ, საქართველოში ყველაზე პერსპექტიულ დარგებად უნდა დავასახელოთ ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები.

იმისათვის, რომ საქართველო გახდეს საინვესტიციოდ მიმზიდველი ქვეყანა გადაუდებელი ამოცანაა ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა. უნდა მოხდეს შემდეგი ამოცანების დროულად გადაჭრა:

უნდა იქნეს მიღწეული მაკროეკონომიკური სტაბილურობა. იგი აკავებს ინფლაციასა და აფერხებს წარმოების დაცემას. მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისათვის აუცილებელია ნეგატიური პროცესების აღკვეთის მუდმივი კონტროლი და მათზე დროულად რეაგირება. ბევრი რამ დამოკიდებულია ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე აქტუალური საკითხების გადაჭრის თეორიული წანამდგრების სწორად შერჩევაზე, ინფლაციის მიზეზების შესწავლასა და მისი შეკავების მეთოდების დანერგვაზე, ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების ღონისძიებებზე, საბაზრო კონკურენციის განვითარებაზე და ა.შ. აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს ცივილიზებული სამართლებრივი სივრცის შექმნა, რომელიც განმტკიცებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონებით, სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებელი როლის წინა პლანზე წამოწევა, რაც უსათუოდ განამტკიცებს უმრავლეს საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას და მათ ინვესტიციურ აქტიურობას შეუწყობს ხელს. ეს ყოველივე კი დადებითად იმოქმედებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, დ. მაგრაქველიძე. „საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები“. თბილისი, 2009.
2. ლ. ქოქიაური. „ინვესტიციების საფუძვლები“, თარგმანი, თბილისი, 2001.
3. გ. სანაძე. „ფინანსური ინვესტიციების საფუძვლები“. თბილისი, 2005.
4. ა. სიჭინავა. „ინვესტიციები (თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა)“. თბილისი, 2010.
5. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და განმტკიცების შესახებ.

INVESTMENTS AND ATTRACTIVENESS OF INVESTMENT

TEONA BAQANIDZE
Asistant professor of GTU
MAGDA BAQANIDZE
Specialist of GTU

This article discusses the nature and role of investments, how does the investments effect on the development of country's economic. How does revenues ,which received from trade and investments, become one of the determining factor of economic development in the most countries of the world. The article states expansion of geographic area of business activities in the wake of trade - economic relations growth, it will affect on the financial results of the multinational enterprises.

The article also presents the development of Georgian economic, after being moved to a market economy, this action is very important for the further development of the investment activity. In particular, the conditions are created for attracting foreign investments in fields of economy, whose development will contribute to the country's economic development and its proper place in the international economy.